შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ გაფართოებული ურთიერთჩართვის შეთავაზების წინადადება ("მოწვევის ოფერტა")

წინამდებარე მოწვევის ოფერტა ადგენს შპს „კავკასუს ონლაინის" (რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, საიდენტიფიკაციო კოდი: 211380833) (შემდგომში „ოფერენტი" ან „ონლაინი") მიერ გაფართოებული ურთიერთჩართვის შეთავაზების პირობებს. აღნიშნული პირობები განსაზღვრულია და ვრცელდება გაფართოებული ურთიერჩართვის მომსახურების მიღების მსურველი ყველა ავტორიზებული პირის მიმართ (შემდგომში „აქცეპტანტი" ან „მეორე მხარე")

"ონლაინი" უზრუნველყოფს გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას შემდეგი პირობების შესაბამისად:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. ავარია - მხარის ტექნიკური საშუალებ(ებ)ისა და/ან მოწყობილობ(ებ)ის მწყობრიდან გამოსვლა, მხარის ბრალეული (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) ქმედების გარეშე და ფორს-მაჟორული გარემოების (დაუძლეველი ძალის) არარსებობისას;

1.1.2. აქცეპტის დოკუმენტაცია - 2.4 მუხლში მითითებული დოკუმენტები, რომლებიც "აქცეპტანტმა" უნდა წარუდგინოს "ონლაინს" დაშვების პროცედურის ინიცირების მიზნით;

1.1.3. აქცეპტის ფორმა - "აქცეპტანტის" მიერ "მოწვევის ოფერტის" შესაბამისად შევსებული დანართი #1, რომელიც ეგზავნება "ოფერენტს" დასადასტურებლად "მოწვევის ოფერტაში" მითითებული პირობების შესაბამისად;

1.1.4. გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულება - "ოფერენტს" (ანუ "ონლაინს") და "აქცეპტანტს" (ანუ "მეორე მხარეს") შორის "მოწვევის ოფერტაზე" აქცეპტის გაკეთების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების შესახებ;

1.1.5. საპატიო მოცდენა - გეგემიური სარემონტო და გეგმიური სხვაგვარი სამუშაოს ხანგრძლივობა, აგრეთვე, ფორსმაჟორული შემთხვევის მთლიანი ხანგრძლივობა;

1.1.6. ურთიერთჩართვის წერტილი - თბილისში, ვაჟა-ფშაველას 71-ში მდებარე "ონლაინის" თანალოკაციის ფართში არსებული ურთიერთჩართვის წერტილი;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული სხვა ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. გაფართოებულ ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული დათქმები, გაფართოებული ურთიერთჩართვის წინაპირობები და პროცედურები

2.1. გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების ფარგლებში "ონლაინი" და "აქცეპტანტი" უზრუნველყოფენ საკუთარი ქსელების შესაბამის ელემენტებთან და მათ ქსელებში განთავსებულ ყველა ინტერნეტ საქსელო რესურსებთან (მათ შორის ინტერნეტ გვერდებთან, ინტერნეტ საინფორმაციო მომსახურების სახეებთან, სერვერზე განთავსებულ ყველა ინფორმაციასთან) შეუზღუდავ და არადისკრიმინაციულ ურთერთდაშვებას.

2.2. ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები ადასტურებენ, რომ "ონლაინის" გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების "აქცეპტანტისათვის" გაწევის მიზნით და შესაბამის რესურსებთან დაშვებით არ ხორციელდება "ონლაინის" ან/და სხვა მესამე პირის კუთვნილ თუ მართლზომიერ სარგებლობაში არსებულ ქსელსა თუ კაბელში რაიმე სახითა თუ ფორმით ციფრული არხის გამოყოფა და, შესაბამისად, წინამდებარე "მოწვევის ოფერტა" და "გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულება" არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ "აქცეპტანტს" წარმოეშვას რაიმე უფლება "ონლაინის" ან/და სხვა მესამე პირის კუთვნილ თუ მართლზომიერ სარგებლობაში არსებულ ქსელსა თუ კაბელში რომელიმე და ნებისმიერი ციფრული არხის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, რაიმე ფორმით გამოყენებისა და სარგებლობის თაობაზე;

2.3. "ონლაინი" უზრუნველყოფს "მეორე მხარისათვის" გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებას იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით) და გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისას უზრუნველყოფს მომხარებელთა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დაცვას;

2.4. გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიღების პროცედურის ინიცირებისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ "აქცეპტანტს" არ ჰქონდეს "ონლაინის" მიმართ შეუსრულებელი რაიმე სახის ფულადი ვალდებულება და, რომ "აქცეპტანმა" "ონლაინს" წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები ("აქცეპტის დოკუმენტაცია"):

2.4.1. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად "აქცეპტანტის" მიერ მოპოვებული ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.4.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან "აქცეპტანტის" შესახებ;

2.4.3. "აქცეპტანტის" უფლებამოსილი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.4.4. აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი, იმ შემთხვევაში თუ "აქცეპტანტს" წარმოადგენს პირი, რომელიც არ არის მითითებული 2.4.2 პუნქტში მითითებულ ამონაწერში;

2.4.5. "აქცეპტანტის" უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და შევსებული "აქცეპტის ფორმა".

"აქცეპტის დოკუმენტაცია" "აქცეპტანტმა" უნდა გააგზავნოს წერილობითი ფორმით, ფოსტით "ონლაინის" რეგისტრირებულ მისამართზე, აგრეთვე, ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: info@co.ge სათაურით (ელ. ფოსტის subject line-ში ჩასაწერი ტექსტი) "[ავტორიზებული პირის დასახელება]-ის აქცეპტის დოკუმენტაცია გაფართოებული ურთიერთჩართვის თაობაზე".

2.5. "აქცეპტის დოკუმენტაციის" წერილობით და ელექტრონული ფოსტით მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში "ონლაინი" შეისწავლის მათ შესაბამისობას ზემოთ მითითებულ მოთხოვნებთან.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ "აქცეპტის დოკუმენტაცია" არ აკმაყოფილებს 2.4 მუხლის მოთხოვნებს ან "აქცეპტანტს" გააჩნია შეუსრულებლი ფულადი ვალდებულებები "ონლაინის" მიმართ, მაშინ "ონლაინი" დაუბრუნებს "აქცეპტანტს" "აქცეპტის დოკუმენტაციას" და ჩაითვლება, რომ აქცეპტი არ გაკეთებულა.

2.7. იმ შემთხვევაში, თუ "აქცეპტის დოკუმენტაცია" აკმაყოფილებს 2.4 მუხლის მოთხოვნებს და "აქცეპტანტს" არ გააჩნია შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებები "ონლაინის" მიმართ, მაშინ

“ონლაინი” უგზავნის “მეორე მხარეს” გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების ხელშეკრულების (“გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულება”) სამ ეგზემპლარს, რომელთაგან თითოეული მოიცავს “ონლაინის” უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას. ასეთ შემთხვევაში “აქცეპტანტი” ვალდებულია 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს “ონლაინს” “აქცეპტანტის” უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების” ორი ეგზემპლარი. დათქმულ ვადაში “აქცეპტანტის” მიერ “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების” სათანადო ფორმით “ონლაინისათვის” წარუდგენლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ “აქცეპტანტი” უარს ამბობს გაფართოებული ურთიერთჩართვის “ონლაინის” მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე და, რომ “აქცეპტანტსა” და “ონლაინს” შორის არ წარმოიშობა შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა.

2.8. “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულება” ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 6 თვის ვადით.

2.9. “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების” საფუძველზე “ონლაინის” მიერ “აქცეპტანტისათვის” გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურება დაიწყება აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, იმ პირობით, რომ მოცემულ ვადაში “აქცეპტანტი” დააკმაყოფილებს “მოწვევის ოფერტით” განსაზღვრულ ურთიერთჩართვის ტექნიკურ მოთხოვნებს (რაც დადასტურდება შესაბამისი ორმხრივი ტესტირებების წარმატებით ჩატარების შედეგად). ასეთ შემთხვევაში “ონლაინი” ვალდებულია გამოუყოს “მეორე მხარეს” შესაბამისი გამტარუნარიანობის სიმძლავრის მქონე შესაბამისი რაოდენობის პორტ(ებ)ი, “ონლაინიდან” “მეორე მხარის” მიმართულებით ტრაფიკის გასატარებლად, გაფართოებული ურთიერთჩართვის განხორციელების მიზნით;

2.10. “აქცეპტის დოკუმენტაციის” მიღებისთანავე, “ონლაინი” უფლებამოსილია, “მეორე მხარისათვის” (“აქცეპტანტისათვის”) შესაბამის წერილობით მოთხოვნის გაგზავნის საფუძველზე, მოითხოვოს “მეორე მხრიდან” “ონლაინის” მიმართულებით გაფართოებული ურთიერთჩართვის მიზნით შესაბამისი გამტარუნარიანობის სიმძლავრის გამოყოფა, რაც უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელკრულებით დადგენილი პირობების ანალოგიურად. “ონლაინისაგან” შესაბამისი მოთხოვნის მიღების საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და ვადების ანალოგიურად “აქცეპტანტი” ვალდებულია გამოუყოს “ონლაინს” შესაბამისი გამტარუნარიანობის სიმძლავრის მქონე შესაბამისი პორტ(ებ)ი “აქცეპტანტის” მხრიდან “ონლაინის” მიმართულებით ტრაფიკის გასატარებლად პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის განხორციელების მიზნით]

2.11. “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების” მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს, იმ პირობით, რომ მოცემული მომენტისათვის “აქცეპტანტს” შესრულებული აქვს “ონლაინის” მიმართ ყველა ფულადი ვალდებულება, “აქცეპტანტი” უფლებამოსილია მოითხოვოს გაფართოებული ურთიერთჩართვისათვის დამატებითი სიმძლავრის გამოყოფა. გაფართოებული ურთიერთჩართვისათვის დამატებითი სიმძლავრის პორტებით უზრუნველყოფის თაობაზე “მეორე მხარის” მიერ მოთხოვნა “ონლაინის” მიერ ხორციელდება “ურთიერთჩართვის წერტილში” “მეორე მხარის” წერილობითი განაცხადის / მოთხოვნის, “ონლაინის” მიერ მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ამგვარი განაცხადი / მოთხოვნა უნდა მოიცავდეს: 1) დოკუმენტურად დასაბუთებულ არგუმენტს მოთხოვნილი სიმძლავრის აუცილებლობის თაობაზე, და 2) “მეორე მხარის” თანხმობას მოთხოვნილი მომსახურებისათვის “ონლაინის” მიერ დადგენილი ღირებულების გადახდის თაობაზე. მოცემული მომსახურების ეფექტურობისა და ურთიერთოპერაბელურობის უზრუნველსაყოფად, “მეორე მხარე” ვალდებულია, ამგვარი განაცხადის / მოთხოვნის “ონლაინისათვის” გაგზავნის მომენტში, საკუთარი ძალისხმევითა და სახსრებით უზრუნველყოს შესაბამისი ფიზიკური არხის მიყვანა “ურთიერთჩართვის წერტილში” და საკუთარი ტექნიკური საშუალებების (მათ შორის ფიზიკური არხის, პორტისა და პროგრამული უზრუნველყოფის) შესაბამისობაში მოყვანა “ონლაინის” მიერ “ურთიერთჩართვის წერტილში” განთავსებულ და ურთიერჩართვისათვის განკუთვნილ ხელსაწყოებსა და პროგრამულ უზრუნველყოფასთან (Cisco

Systems Catalyst-ის ჯგუფის კომუტატორი IOS 12.1 ან უფრო ახალი პროგრამული უზრუნველყოფით). აღნიშნულთან დაკავშირებით (ანუ დამატებითი სიმძლავრის გამოყოფასთან დაკავშირებით) "ონლაინი" და "აქცეპტანტი" აფორმებენ შესაბამის ცვლილებას "გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში".

2.12. გაფართოებული ურთიერთჩართვის ფარგლებში მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ ერთმანეთის აბონენტთა (მომხმარებელთა) ჩართვა საკუთარი ქსელის ელემენტებთან და, აგრეთვე, უზრუნველყონ აბონენტთა (მომხმარებელთა) შეუფერხებელი და არადისკრიმინაციული დაშვება საკუთარ ქსელში განთავსებულ ინტერნეტ რესურსებზე.

2.13. "გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების" მოქმედება შეიძლება შეწყდეს შემდეგი საფუძვლებით:

2.13.1. მხარეთა შეთანხმება;

2.13.2. მოქმედების ვადის გასვლა;

2.13.3. ერთ-ერთი მხარის მიერ „მოწმვევის ოფერტის" ან „გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების" პირობების სისტემატური დარღვევა ან არაჯეროვანი შესრულება, თუ ამგვარი დარღვევა არ აღმოიფხვრა დამრღვევი მხარის მიერ მეორე მხარისაგან წერილობითი შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში;

2.13.4. ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაცია;

2.13.5. ერთ-ერთი მხარის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება;

2.13.6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საფუძვლები.

მუხლი 3. ურთიერთჩართვის ტექნიკური საკითხები და ხარისხი

3.1. "ონლაინი" იღებს ვალდებულებას, გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების "ოფერტის" შესაბამისად მიწოდების მიზნით, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ყველა ტექნიკური და სხვა სახის სამუშაოსა და მოქმედების შესრულება "ონლაინის" თანალოკაციის ფართზე, სადაც მდებარეობას "ურთიერთჩართვის წერტილი". შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ "მეორე მხარის" დაშვება თანალოკაციის ფართზე არ არის საჭირო.

3.2. ნებისმიერ შემთხვევაში, "მეორე მხარეს" აქვს უფლება მოითხოვოს "ონლაინის" თანალოკაციის ფართზე, სადაც მდებარეობს "ურთიერთჩართვის წერტილი", დაშვება. ასეთ შემთხვევაში "მეორე მხარემ" უნდა მიმართოს "ონლაინს" 24 საათიანი წინასწარი წერილობითი მოთხოვნით, სადაც უნდა იყოს ჩამოყალიბებული არგუმენტირებული და დასაბუთებული მიზეზი, თუ რატომ არის აუცილებელი "მეორე მხარის" წარმომადგენლის დაშვება "ურთიერთჩართვის წერტილში" და რა სამუშაოებისა მოქმედებების შესრულების მიზნით ითხოვს "მეორე მხარე" დაშვებას. ნებისმიერ შემთხვევაში "ონლაინის" თანალოკაციის ფართზე დაშვება პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან.

3.3. "ონლაინის" თანალოკაციის ფართზე, სადაც მდებარეობს "ურთიერთჩართვის წერტილი", დაშვება ხორციელდება სამუშაო დღეების სამუშაო საათებში, არაუმეტეს ორი ვიზიტორის მიერ, "ონლაინის" წარმომადგენლის დასწრებითა და მონაწილეობით.

3.4. მხარეებს შორის გაფართოებული ურთიერთჩართვა და პაკეტური კომუტაციის ქსელებით ტრაფიკის ურთიერთგაცვლა ხორციელდება ინტერნეტ ტექნოლოგიით, TCP/IP ინტერნეტ პროტოკოლისა და BGP მარშრუტიზაციის პროტოკოლის შესაბამისად.

3.5. “ონლაინის” მიერ ქსელის რეორგანიზაციის, მისი ადგილმდებარეობის, ან სხვა შემთხვევებში “ურთიერთჩართვის წერტილის” სხვა ადგილას გადატანის შესახებ “ონლაინი” “მეორე მხარეს” აცნობებს წერილობით “ურთიერთჩართვის წერტილის” შეცვლამდე ერთი თვით ადრე.

3.6. მხარეები უზრუნველყოფენ გაფართოებულ ურთიერთჩართვას, რომლის მიწოდებისათვის საჭირო საწყისი (ანუ “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების” ძალაში შესვლის მომენტში გასააქტიურებელი) გამტარუნარიანობის სიმძლავრე განისაზღვრება გაფართოებული ურთიერთჩართვის “აქცეპტის ფორმაში” მითითებული გამტარუნარიანობის სიმძლავრით, “მოწვევის ოფერტით” განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

3.7. მხარეები უზრუნველყოფენ, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული, მიწოდებული მომსახურების ხარისხს, ხელმისაწვდომობას, უსაფრთხოებას, ეფექტურობასა და ურთიერთოპერაბელურობას. ურთიერთჩართვის არხზე ტრაფიკის პაკეტების გადაცემის გარანტირებული ხარისხის მახასიათებლად განისაზღვროს: IP პაკეტების დანაკარგების დასაშვები დონე – 1%-ი; გადაცემული პაკეტების დაყოვნების – 50 მილიწამი; გადაცემული პაკეტების დაყოვნების საშუალო სტატისტიკური გადახრის საზღვრები – 40 მილიწამი.

3.8. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო გონივრულ ზომას, რათა უზრუნველყონ ურთიერთჩართვის საექსპლუატაციო უსაფრთხოება, როგორც ურთიერთჩართვის წერტილებში, ისე მხარეთა კუთვნილ მოწყობილობებზე.

3.9. მხარეებს შორის გაფართოებული ურთიერთჩართვა და ტრაფიკის დამისამართებასთან / ტრანზიტთან დაკავშირებული ინფორმაციის / ტრაფიკის გაცვლა განხორციელდება BGP პროტოკოლის მეშვეობით. მხარეები ვალდებული არიან წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე განახორციელონ BGP პროტოკოლის შესაბამისი ფუნქციის გააქტიურება (მაგ. დომენური სახელების ჩამონათვალის ურთიერთგაცვლის მიზნით), თუ ეს შესაძლებელია, რაც უნდა განხორციელდეს ორივე მხარის მიერ, შესაბამისი დამატებითი მომსახურების მიწოდებისა და მიღების მიზნით

3.10. რომელიმე მხარის მიერ წინასწარი წერილობითი განცხადების მეორე მხარისათვის გაგზავნის შემთხვევაში, მეორე მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მომთხოვნი მხარის შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვება ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის პაკეტური კომუტაციის ტერმინალური ელემენტების ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან, “DNS” მომსახურების მონაცემთა ბაზასთან და სხვა საქსელო მომსახურების სახეებთან, რაც საჭიროა გაფართოებული ურთიერთჩართვისათვის.

მუხლი 4. ექსტრაორდინარულ, ფორსმაჟორულ, ავარიულ და სარემონტო სამუშაოების შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

4.1. “ონლაინი” იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს “ურთიერთჩართვის წერტილში” ნებისმიერი სახის დაზიანებისა თუ ხარვეზის აღმოფხვრა რაც აფერხებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული მომსახურების განხორციელებას.

4.2. სამუშაო საათებში ავარიის შემთხვევაში, მხარე რომლის ურთიერთჩართვისათვის საჭირო საშუალებებიც გამოვიდნენ მწყობრიდან, 4 სამუშაო საათის განმავლობაში ატყობინებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, “ონლაინის” შემთხვევაში noc@caucasus.net, “მეორე მხარის” შემთხვევაში “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში” მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე (ასლის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გადაგზავნით post@gncc.ge), მეორე მხარეს ავარიის შესახებ და იღებს ყველა შესაძლებელ ზომას, რათა გონივრულ ვადაში, რაც არ უნდა აღემატებოდეს შეტყობინებიდან 24 საათს, აღმოფხვრას ავარიის მიზეზები და აღადგინოს ურთიერთჩართვა. აღნიშნული პერიოდი ჩაითვლება “საპატიო მოცდენად.”

4.3. “ონლაინმა” გეგმიური სარემონტო ან გეგმიური სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ უნდა შეატყობინოს “მეორე მხარეს” სულ მცირე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე. გეგმიური სარემონტო თუ გეგმიური სხვაგვარი სამუშაოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) საათს, არ უნდა სრულდებოდეს თვეში ერთზე მეტჯერ და უნდა ჩატარდეს 01:00-06:00 საათების ინტერვალში, გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან

4.4. არაგეგმიურო სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული გაფრთხილების ვადა შეიძლება შემცირდეს ან გამოირიცხოს, თუ სამუშაოების ჩატარება საჭიროა დაუყოვნებლივ.

4.5. მხარეთა პასუხისმგებლობა არ დგება ფორსმაჟორული გარემოების (დაუძლეველი ძალის) მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია “მოწვევის ოფერტითა” და “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

4.6. “დაუძლეველი ძალის” ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ოფერტის ძალაში შესვლისა და “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების” გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები. კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულებას სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

4.7. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

4.8. შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში შესაბამისი მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

4.9. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 დღეზე მეტხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ “გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების” მოქმედების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. მხარეთა შეთანხმებით, გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიზნით გამოყოფილი ყოველი 2 (ორი) მეგაბიტ/წმ ექვივალენტური პორტისათვის (გამტარუნარიანობის სიმძლავრისათვის) მხარეები ანგარიშსწორებას მოახდენენ იმ ტარიფის შესაბამისად, რაც შეესაბამება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის დადგენილ ზღვრულ ტარიფს, რაც 2014 წლის 5 (ხუთ) იანვრამდე შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს 1 (ერთი) გიგაბიტ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრეზე დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, ხოლო 2014 წლის 5 (ხუთი) იანვრის შემდეგ (ხუთი იანვრის ჩათვლით) შეადგენს 250 ლარს 1 (ერთი) გიგაბიტ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრეზე დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე

5.2. თუ ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ერთი თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულება ტოლია მეორე მხარის მიერ პირველი მხარისათვის გაწეული მომსახურების ღირებულებისა, ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება ურთიერთგაქვითვის პრინციპის საფუძველზე, კერძოდ ანგარიშფაქტურების გაცვლით და გაწეული გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების ღირებულების გადახდის ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით;

5.3. თუ ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ერთი თვის განმავლობაში გაწეული გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების ღირებულება აღემატება, მეორე მხარის მიერ პირველი მხარისათვის გაწეული გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების ღირებულებას, ამ შემთხვევაში ასეთი სხვაობის ანაზღაურება უნდა მოხდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

5.4. ანგარიშსწორება წარმოებს მხარეთა მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე.

5.5. მხარეთა შეთანხმებით ანგარიშსწორება გაფართოებული ურთიერთჩართვის სიმძლავრის უზრუნველყოფის მომსახურებაზე ხორციელდება ყოველთვიურად შესაბამისი სალდირებით. მხარეები ადასტურებენ, რომ გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება გამოყოფილი 2 მეგაბიტ/წმ ექვივალენტური პორტების (გამტარუნარიანობის სიმძლავრე) მიხედვით, ოფერტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

5.6. გაწეული გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების შესახებ ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე მხარეებმა უნდა შეადგინონ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც დაფიქსირდება ერთი მხარის მიერ მეორე მხარის ქსელიდან მიღებული (ჩამოტვირთული) ტრაფიკის მოცულობა და გამოყენებული გამტარუნარიანობის სიმძლავრე გამოხატული მეგაბიტ/წმ-ებში.

5.7. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „ონლაინის“ მიერ მოწვევის ოფერტით განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შეცვლის შემთხვევაში, „ონლაინი“ ვალდებულია 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს „მეორე მხარეს“ პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის განხორციელების პირობებისა და ტარიფების ცვლილების შესახებ და შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პირობები და ტარიფები. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში „გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულება“ ექვემდებარება მხარეთა მიერ მოწვევის ოფერტასთან შესაბამისობაში მოყვანას.

5.8. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. მხარეები ვალდებული არიან მეორე მხარეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე მიაწოდონ დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო ანგარიშფაქტურა და შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილება. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე. გადახდის აღნიშნული ვადა პროპორციულად გადაიწევს ერთი მხარისათვის იმ ვადით, რა ვადითაც მეორე მხარე გადააცილებს წინამდებარე პუნქტში მითითებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტების წარდგენის ვადას (მომდევნო თვის 15 რიცხვს). მხარეები უფლებამოსილი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა ოფერტით დადგენილი წესის შესაბამისად. დადგენილ ვადაში მომსახურების ღირებულების რომელიმე მხარის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ გადახდილი თანხები პირველ რიგში მოხმარდება დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობის დაფარვას და მეორე რიგში - ძირითადი დავალიანების დაფარვას.

მუხლი 6. მხარეთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლა

6.1. მხარეები ვალდებული არიან გაცვალონ კომერციული, ტექნიკური და ქსელური ინფორმაციები, რომლებიც საჭიროა ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ეფექტური ურთიერთჩართვის უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიწოდებული ინფორმაცია ჩაითვლება კონფიდენციალურად და წარმოადგენს მომწოდებელი მხარის საკუთრებას. ასეთი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ისინი იქნა მიწოდებული.

6.2. მხარეები არ არიან უფლებამოსილი მეორე მხარის ნებართვის გარეშე გადასცენ მესამე პირს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია, თუ კანონის საფუძველზე არ არსებობს ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება.

6.3. ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა და პერიოდულობა განისაზღვრება მხარეთა საჭიროების მიხედვით.

მუხლი 7. "გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის წესი და პირობები

7.1. "გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში" ნებისმიერი სახის ცვლილებისა და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ამ ოფერტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 8. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე გაფართოებული ურთიერთჩართვის შეთავაზების წინადადება ("მოწვევის ოფერტა") ძალაში შედის შპს "კავკასუს ონლაინის" ან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მომენტში (ანუ აღნიშნული ორი ვებ გვერდიდან რომელზეც უფრო ადრე გამოქვეყნდება იმ მომენტში) და მოქმედებს 6 (ექვსი) თვის ვადით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. მხარეთა შორის შეტყობინება განხორციელებულად მიიჩნევა მისი წერილობითი ფორმით შესრულებისა და უფლებამოსილი პირის დამოწმების შემთხვევაში. შეტყობინება მხარეებს უნდა მიეწოდოთ კურიერის, დაზღვეული წერილის, ან ფაქსის მეშვეობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, თუ მეორე მხარე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

9.2. ერთ-ერთი მხარის მიერ "მოწვევის ოფერტით" ან "გაფართოებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულებით" გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას ან ასეთ უფლებაზე საბოლოოდ უარის თქმას.

9.3. მხარეთა შეთანხმებით გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების გაწევის შესრულების ადგილად მიჩნეულია ქ. თბილისი.

9.4. "ონლაინსა" და "მეორე მხარეს" შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს შორის დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი #1

შპს “კავკასუს ონლაინის” მიერ გაფართოებული ურთიერთჩართვის მოწვევის ოფერტაზე აქცეპტის ფორმა

1. აქცეპტანტის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: _____

   აქცეპტანტის საფირმო სახელწოდება: _____

   აქცეპტანტის იურიდიული მისამართი: _____

   აქცეპტანტის საიდენტიფიკაციო კოდი: _____

   აქცეპტანტის წარმომადგენელი: _____

   (პოზიცია, სახელი და გვარი) _____

2. შპს “კავკასუს ონლაინთან” გაფართოებული ურთიერთჩართვის მიზნით აქცეპტანტის მიერ შესაბამისი ტრაფიკის მიღებისათვის მოთხოვნილი გამტარუნარიანობის სიმძლავრის ფარგლები გამოხატული მბ/წმ ან გბ/წმ ერთეულში

_____

3. აქცეპტანტის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირ(ებ)ის სახელი და გვარი	საკონტაქტო პირის პოზიცია	ელ. ფოსტის მისამართი	ტელეფონის ნომერი

4. შენიშვნა

_____

წინამდებარე “აქცეპტის ფორმაზე” ხელმოწერით აქცეპტანტი ადასტურებს, რომ იგი სრულად გაეცნო, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს “ონლაინის” მიერ გაფართოებული ურთიერთჩართვის მოწვევის ოფერტის ყველა და ნებისმიერ პირობას

_____ [ხელმოწერა]

_____ 201__ წლის _____

[აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის პოზიცია და სახელი და გვარი სრულად]